სასწავლო რესურსის გამოყენების ინსტრუქცია და რეფლექსია

2022 წლის დეკემბრის ბილოს შევქმენი სასწავლო რესურსი, სპეციალური საჭიროების მოსწავლიათვის. რესურსის მიზანი გამმომდინარეობს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებიდან. ეროვნული სასწავლო გეგმით შექმნილი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზნის მისაღწევად.

რესურსის შესაბამისობა ეროვნულ და თავის მხრივ ისგ სასწავლო გეგმასთან:

მუს.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმოვანი გზავნილის სხვა და სხვა სიმბოლოთი ჩაწერილის ამოცნობა და გააზრება.

მოკლევადიანი მოდიფიცირებული მიზანი: სურათს მიუსადაგე, ამოიცანი გაიაზრე.***9/XII-27/I (I სემესტრი -II სემესტრი)***

ჩემს მიერ შექმნილი რესურსი დამეხმარა სასწავლ მიზნების მიღწევაში.

სსსმ მოსწავლეზე დაკვირვების, პრობლემის აღმოჩენის საფუძველზე, იმისათვის , რომ განმეხორციელებინა სასწავლო მიზნები, მოსწავლის საჭშიროებიდან გამომდინარე, გადავწყვიტე შემექმნა რესურსი, რომლითაც მომეცა საშუალება გეგმა წარმატებით განმეხორციელებინა. იმისათვის , რომ სსსმ მოსწავლეში მეტი ინტერესი გამომეწვია და ვიზუალური მასალით მეტად აღქმადი ყოფილიყო შესასრულებელი დავალება, გამეზარდა მისი ინტერესი და საგნისადმი, გამეზარდა ჩართულობის დონე, გავსულიყავი ისგ-ით დაგეგმილ შედეგებზე, გადავწყვიტე სსმ მოსწავლისათვის ამ რესურსის შექმნა.

რესურსი „ ამოიცანი ხმები“ შედგება ფოტოებისაგან, რომელზეც გამოსახულია შინაური და გარეული ცხოველები, თან დართული აქვს აუდიო ხმები, შესაძლებელია სურათების გადაადგილება, ხმების გაჟღერება, ვიდეოების ჩვენება....

რესურსი“ თვსატეხი“ -შედგება ფოტო, საინფორმაციო, აუდიო და ვიდეო მასალსაგან, რომელზეც საბავშო ილუსტრაციებით და ინფორმაციით მოსწავლე ეცნობა მუსიკალურ ნოტებს, შესაძლებელია სურათების გადაადგილება, ხმების გაჟღერება, ვიდეოების ჩვენება....

რესურსში გამყენებულია ფერადი ფოტოები, რომელიც არის ისეთი ზომის, რომ მოსწავლემ შეძლოს მისი აღქმა და დანახვა, საკლასო ოთახის ყველა მხრიდან.

ახალი აქტივობის დაგეგმვამ, მოსწავლის მოტივაციამ, მეც მოტივირებული გამხადა და კიდევ ერთი რესურსის შექმნის იდეა და სურვილი გამიჩინა, შევქმენი ახალი რესურსი, სადაც მუსიკალური“ ძირითადი ბგერები“- დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი თვსატეხის სახით შევთავაზე მოსწავლეს(სიტყვებში გამოტოვებულ ადგილას უნდა ჩაესვა ძირითადი ბგერების მარცვლები, რომლითაც მიიღბენ სიტყვებს), ამან უფრო მეტად გაახალისა არა მარტო სსსმ მოსწავლე, ასევე მთელი კლასი, რომელიც აყვა სსსმ მოსწავლეს. ღმოჩნდა , რომ მთელი კლასისითვისაც სახალისო იყო ამ აქტივობის შესრულება...კლასის ასეთმა მხიარულებამ ,

სსსმ მოსწავლე მეტად ხალისიანი და აქტიური გახადა, ის აღტაცებული აკეთებდა თავსატეხს, კლასი კი ემოციური შეძახილებით ამხნევებდა სსსმ მოსწავლეს.

 მუსიკის დაყებითი სტანდარტით გათვალისწინებული პროგრამიდან გამომდინარე, სასწავლო რესურსების გამოყენებით, მოსწავლეს განუვითარდება: შედარების, მისადაგების, ხმების ამოცნობის, ხელით კეთების, აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების უნარებს , რესურსი უბიძგებს მოსწავლეს ფიქრისკენ, ახალ ცოდნის მიღებისა და განმტკიცებისკენ.

რესურსის“ ამოიცანი ხმები“ მიზანია: სსსმ მოსწავლემ ამოიცნოს სურათზე გამოსახული ცხოველები, მოსმენილი აუდიო ხმები, მიუსადაგოს თითოეულ სურათს აუდიო ხმები.

რესუსის შექმინისას გათვალისწინებული მქონდა ის ფაქტიც, რომ გარკვეული რაოდენობა მოსწავლეების თვალით დანახულს უკეთესად აღიქვამენ და სწავლობენ, ვიდრე დაწერილს, ამ მოსმენილს. მქონდა მოლოდინი, რომ რესურსის შექმნით და გამოყენებით, სსსმ მოსწავლეს ბევრად საინტერესო სგაკვთილო პროცესს შევთავაზებდი, გავზრდი მის თვალსაწიერის არიელს და გაკვეთილზე მიცემული დავალება, მისთვის გახდებოდა ბევრად მიმზიდველი, საინტერესო და ადვილად აღქმადი. გაკვეთილი იქნებოდა ხალისისნი და ცოცხალი. რესურსის სექმნისას გათვალისწინებული მქონდა მოსავლის ასაკი და საჭიროებები.

აღნიშნული რესურსი „ ამოიცანით ხმები“ საგანმანათლებლო მიზნით შეიძლება გამოიყენოს ქათულის, ინგლისურისა და რუსულის ასწავლებელმა, ბუნების მასწავლებელმა ამავე კლასში. მოდიფიცირების გარეშე, შეუშლიათ პედაგოგებმა გამოყენონ ცხოველთა სახელების ამოცნობის სწვლების დროს რესურსი“ ამოიცანით ხმები“ თვალსაჩინოების სახით. ასევე ქაღტულის , ინგლისურის და რუსულის მასწავლებლებმა დაასახელონ ცხოველები ქართულად ინგლისურად და რუსულად.

აღნიშნული რესურსი „ მუსიკალური ბგერები“ შეუძლიათ გამოიყენონ ინგლისურის და რუსულის მასწავლებელმა, ასევე თავლსაჩინოების სახით.

დასკვნა: ამგვარად,სსსმ მოსწავლის უნივერსალური და მიზნობრივი საჭიროების გათვალისწინებით, დიფერენცირებული სწავლების პრინციპებზე დაყრდნობით,

ჩემს მიერ განხორციელებული აქტივობებით, შევძელი საჭირო მიზანზე გასვალა.

რესურსი წარმოვადგინე კოლეგებთან, მეგობრულ შხვედრაზე, კოლეგემბა გულდასმით და დიდი ყურადღებით მომისმინეს, გამოთქვეს რესურსის თავიანთ პრაქტიკაში გამოყენების სურვილი, მივიღე ბევრი გულთბილი სიტყვები, დადებითი ემოციები და წამახალისებელი კომენტარები, რაც უდიდესი სტიმულია ჩემი მომავალი პედაგოგიური პრაქტიკის განვითარებისა და და ახალ-ახალი გამოწვევების დანერგვისათვის.

თანამედროვე გაკვეთილი წარმოუდგენელია დამხმარე სასწავლო რესურსების გარეშე, ვინაიდან კლასში სხვა და სხვა უნარების და საჭიროების მოსწავლეა... შესაბამისად

მრავალფეროვან აქტივობები და რესურსები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა უწყვეტ განვითარებას, ეროვნული სასავლო გეგმით დსახული მიზნებისა და შედეგების მიღწევას...

მადლობას გიხდით სასწავლო პროცესში ჩემს მიერ შექმნილი რესურსის გამოყენებისათვის.

მუსიკის პედაგოგი: ხათუნა თედიაშვილი.

https://174sajaroskola.blogspot.com/2023/04/blog-post_96.html?fbclid=IwAR0VNxZHqBv-G5hKNuL6qwv03fNf5Ul5IZWyK-_oV3YcM9v9qwJC8xkOaeA

https://174sajaroskola.blogspot.com/2023/04/blog-post_19.html?fbclid=IwAR1dMGF7Jhv4WgbIOIXl0sJl3fWzMn0ew59ZRtvaKHGZXD1LZ4i5FD7Hxw8